თხრობითი ტექსტის გაგება-გააზრება

დაკვირვებით წაიკითხე ტექსტი და უპასუხე შეკითხვებს.

მარტოობა

წინწკალამ ყური მოჰკრა, ადამიანები მარტოობას განიცდიან და ამისგან ძალიან იტანჯებიანო. ჰოდა, ამ საქმეშიც გადაწყვიტა ესინჯა თავი. რაც შეიძლებოდა გაჯავრებული იერი მიიღო... ამგვარი იერი აქვთ ადამიანებს, როცა რაიმე აწუხებთ... და ასეთი სახით აიტუზა მწვანედ მობიბინე მდელოზე, ვარდისფრად აბრდღვიალებული ასკილის ბუჩქის მახლობლად.

მისი უჩვეულო იერი შეუმჩნეველი არ დარჩენილა. სულ მალე გულწითელა შეეხმიანა ასკილის ტოტიდან.

- რა დაგემართა, რა ცხვირ-პირი ჩამოგტირის, წინწკალავ.
- მარტოობისგან ვიტანჯები, - მიუგო წინწკალამ.
- განა შენ ახლა მარტო ხარ? - გაიკვირვა გულწითელამ. - მიიხედ-მოიხედე, ვინ აღარაა შენს გვერდით. ჩირგვებიდან კურდღელი იჭვრიტება, შენს ცხვირწინ ჩხართვი დაგოგმანებს მწვანე მოლზე, ასკილის ბუჩქს უთვალავი ფუტკარი ახვევია, პეპელა ლამის მაგ წინწკლებიან ქუდზე დაგასკუპდეს.
- მერე რა. ადამიანები მაინც განიცდიან მარტოობას, ვინც არ უნდა იყოს გვერდით. და საერთოდ, მარტოსული მარტოობისგან ყველაზე მეტად მაშინ იტანჯება, როდესაც მარტო არ არის.

ამას რომ ამბობდა, ისე შეეცოდა საკუთარი თავი, რომ ცრემლები გადმოუგორდა თვალებიდან. გულწითელას ძალიან შეებრალა წინწკალა და უთანაგრძნო: რას იზამ, ძნელი საქმე გიკისრია და როგორმე უნდა გაუძლოო... მერე გაფრინდა და მთელ ტყეს მოსდო ეს ახალი ამბავი. ძალზე დიდი გამოხმაურება ჰპოვა წინწკალას მარტოობამ. ტყის ბინადრებს ყური კი მოეკრათ, რომ ადამიანები მარტოობისგან იტანჯებიან, მაგრამ რა იყო ეს მარტოობა, ჯერ თვალით არავის ენახა. ამიტომ გაიგეს თუ არა ეს ახალი ამბავი, ყველამ მაშინვე გაანება თავი ყოველდღიურ, ჩვეულ საზრუნავს: დათვმა მიატოვა თაფლით სავსე სკა, მელაკუდა შუა გზაზე მობრუნდა საქათმისკენ მიმავალი ბილიკიდან, ციყვმა თავი ანება ნაძვის ტოტებზე ხტუნვას, თაგუნამ გვერდზე მიაგდო სანახევროდ

LIVEWORKSHEETS

გამოღრღნილი თხილი... მთელი ტყე ერთბაშად დაცარიელდა, ყველა ერთად დაიძრა წინწკალასაკენ.

- გამარჯობა, წინწკალა, მართლა მარტო ხარ?
- მარტო ვარ, - თავს სევდიანად აქნევდა წინწკალა.

ტყის ბინადრები ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ წინწკალას, ყოველი მხრიდან შემოუვლიდნენ ხოლმე, ეძებდნენ რაიმე სიახლეს, მაგრამ, თუ არ ჩავთვლით ზომაზე მეტად დაღრეჯილ ცხვირ-პირს, ვერავითარ სხვაობას ვერ პოულობდნენ წინანდელი წინწკალასაგან.

- აბა, სად არის მარტოობა? - კითხულობდნენ სახტად დარჩენილები, - რა ფერისაა?
- მარტოობას ვერ დაინახავ, ვერც ხელს ახლებ, - პასუხობდნენ უფრო მცოდნენი.
- ალბათ მწარე გემო აქვს, არა?
- გემო სრულებითაც არ აქვს.
- იქნებ სუნი აქვს უსიამოვნო?
- არც სუნი აქვს.
- ხომ არ იკბინება?
- კბენა სრულებითაც არ იცის.
- რა უცნაურია. როგორ უნდა იტანჯებოდე იმისაგან, რასაც არც ფერი აქვს, არც სუნი და არც იკბინება...
- მართლაც გაუგებარია, მაგრამ ადამიანები რას არ მოახერხებენ. ჩვენი წინწკალაც რა ყოჩაღი ყოფილა, როგორ მოახერხა...

ზოგიერთები ახლოსაც არ ეკარებოდნენ წინწკალას, აქაოდა მარტოობა არ გადაგვედოსო. ასე იქცეოდა, მაგალითად, კურდღელი. არც თავისი ბაჭიები მიუშვა ახლოს. შორიდან უთვალთვალებდნენ წინწკალას, როგორც რაღაც საოცრებას. მაგრამ ასეთები შედარებით ცოტანი იყვნენ. უმეტესობა ახლოს მიდიოდა, ხელს თანაგრძნობით ართმევდა და, უნდა გაუძლოო, არიგებდა.

- ვუძლებ, მეტი რა გზაა, - ოხრავდა წინწკალა.

სულ ბოლოს მწვანე კალიამ მოაკითხა, ძლივს გაიკვლია გზა უამრავ მნახველებში და აუწყა:

- ჩვენი გუნდი ამჟამად ძალზე შორს, უდაბნოსკენ მიფრინავს. შენი მარტოობის ამბავი გავიგეთ და მე სასწრაფოდ გამომგზავნეს შენთან. ჩვენ, კალიებმა, ძალიან კარგად ვიცით, რას ნიშნავს მარტოობა... განა ერთი და ორი

LIVEWORKSHEETS

მარტოსული გვინახავს უდაბნოში... მთელი ჩვენი გუნდი მოკითხვას გითვლის და თანადგომას გიცხადებსო.

- გმადლობთ, - უთხრა გულაჩუყებულმა წინწკალამ და ღვარივით წასკდა ცრემლები. თუმცა ამ ღვარმა მიწამდე ვერ მიაღწია. იქვე მოფარფატე პეპელამ მზრუნველად შეუმშრალა თავისი ჭრელი ფრთებით.

მხოლოდ გვიან ღამით დაიშალა მთელი ეს თავყრილობა. დაღლილმა წინწკალამ მაშინვე დაიძინა. იმდღევანდელი დღით ფრიად კმაყოფილი იყო. „მარტოობა ძალზე მხიარული რამ ყოფილა“, ფიქრობდა. ალბათ ამიტომაც ვეღარ ელევიან ადამიანები...

წაიკითხე შეკითხვები. შეარჩიე სწორი პასუხი და შემოხაზე შესაბამისი ასო (ა, ბ ან გ).

1. **რა მიზნით მიიღო წინწკალამ გაჯავრებული იერი?**

ა) ასკილის ბუჩქის მახლობლად რომ ატუზულიყო.
ბ) გულწითელას თანაგრძნობა რომ გამოეწვია.
გ) მარტოობით დატანჯულ ადამიანს რომ დამსგავსებოდა.

2. **რატომ უნდოდა წინწკალას გამოეცადა მარტოობა?**

ა) აინტერესებდა, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა მარტოობა.
ბ) აინტერესებდა, რას განიცდიან მარტოსულები.
გ) აინტერესებდა, რომელი ფრინველი გამოეხმაურებოდა.

3. რა თვისება ჩანს წინწკალას გადაწყვეტილებიდან - გამოეცადა მარტოობა?

ა) გულკეთილობა. ბ) კუდაბზიკობა. გ) ცნობისმოყვარეობა.

4. რა მხატვრული სახეა მოცემულ წინადადებაში: „წინწკალა აიტუზა... ვარდისფრად აბრდღვიალებული ასკილის ბუჩქის მახლობლად“.

ა) ეპითეტი. ბ) მეტაფორა. გ) შედარება.

LIVEWORKSHEETS

5. „აბა, სად არის მარტოობა? - კითხულობდნენ <u>სახტად დარჩენილები</u>...“ რას ნიშნავს ფრაზეოლოგიური გამოთქმა <u>სახტად დარჩენა?</u>

ა) განაწყენებას. ბ) გაოცებას. გ) შეშინებას.

6. რომელ წინადადებაშია ფრაზეოლოგიური გამოთქმა?

ა) „წინწკალამ ყური მოჰკრა, ადამიანები მარტოობას განიცდიან“.

ბ) „ძალზე დიდი გამოხმაურება ჰპოვა წინწკალას მარტოობამ“.

გ) „ტყის ბინადრები ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ წინწკალას“.

7. „ამგვარი <u>იერი</u> აქვთ ადამიანებს, როცა რაიმე აწუხებთ“. რას ნიშნავს წინადადებაში ხაზგასმული სიტყვა?

ა) გამომეტყველებას. ბ) ჩვევას. გ) ხასიათს.

8. რატომ ჰპოვა ძალზე დიდი გამოხმაურება წინწკალას მარტოობამ ტყეში?

ა) აინტერესებდათ, რომელი მათგანი შეძლებდა წინწკალას დამშვიდებას.

ბ) თვალით არავის ენახა მარტოობა და აინტერესებდათ, რა იყო ეს.

გ) სურდათ ენახათ, რამდენ ხანს გაუძლებდა წინწკალა მარტოობას.

9. როგორც კი ტყეში წინწკალას ამბავი გაიგეს, „ყველა ერთად დაიძრა წინწკალასაკენ“. ტყის ბინადართა რა თვისება ჩანს აქედან?

ა) გულისხმიერება.

ბ) თავქარიანობა.

გ) ცნობისმოყვარეობა.

10. რატომ არ მიუშვა კურდღელმა ბაჭიები წინწკალასთან?

ა) ეგონა, მარტოობა გადამდები იყო.

ბ) ეგონა, მარტოობა იკბინებოდა.

გ) წინწკალას დაღრეჯილი ცხვირ-პირისა ეშინოდა.

LIVEWORKSHEETS

11. როგორ დამოკიდებულებას ამჟღავნებდა უმეტესობა წინწკალასადმი?

ა) ახლოსაც არ ეკარებოდა.

ბ) თანაუგრძნობდა და არიგებდა.

გ) შორიდან უთვალთვალებდა.

12. რატომ წასკდა წინწკალას ცრემლები?

ა) თანაგრძნობამ გული აუჩუყა.

ბ) კალიების სიტყვებმა გაანაწყენა.

გ) მარტოობამ ძალიან შეაშინა.

13. რატომ დარჩა წინწკალა ფრიად კმაყოფილი იმდღევანდელი დღით?

ა) გაუხარდა, რომ იმ დღეს მას უამრავი მეგობარი ეწვია.

ბ) დარწმუნდა, რომ იგი ტყის უამრავ ბინადაეს უყვარდა.

გ) ჩათვალა, რომ მარტოობა ძალზე მხიარული რამ ყოფილა.

14. რატომ დარჩნენ წინწკალასთან ტყის მცხოვრებნი გვიანობამდე?

ა) ვერ მიატოვეს წინწკალა, რომელიც გულსაკლავად ოხრავდა.

ბ) კარგად ერთობოდნენ წინწკალასთან ერთად.

გ) სურდათ, რომ როგორმე გაეგოთ მარტოობის ფერი ან გემო.

15. წინწკალამ მარტოობის შესახებ მცდარი დასკვნა გამოიტანა, რადგან:

ა) თანაგრძნობამ დარდი სწრაფად გაუქარვა.

ბ) მისი წუხილი გულწრფელი არ იყო.

გ) ტყის ბინადრებმა ძალიან დაღალეს.

LIVEWORKSHEETS